

# ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №22 2015 წლის 29 დეკემბერი

### ქ. ქობულეთი

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ**  
„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1

დამტკიცებულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი თანახმად დანართისა.

#### მუხლი 2

ამ დადგენილების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №37 დადგენილება.

#### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულხან ოქროპირიძე

### თავი I

#### ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანადართული რედაქციით

(ლარი)

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	31 335 205	29 965 235	1 369 970	27 729 971	25 905 707	1 824 264	30161847	30161847	-
გადასახადები	1 354 750	1 354 750	-	1 653 400	1 653 400	0	2 900 000	2 900 000	-
გრანტები	27 455 694	26 085 724	1 369 970	24 022 964	22 198 700	1 824 264	25178947	25178947	-
სხვა შემოსავლები	2 524 760	2 524 760	-	2 053 607	2 053 607	0	2 082 900	2 082 900	-
ხარჯები	15 888 847	15 888 847	0	13 821 230	13 396 181	425 049	11675593	11675593	-



შრომის ანაზღაურება	2 588 536	2 588 536	0	2 110 380	2 110 380	0	5 701 530	5 701 530	-
საკონელი და მომსახურება	2 644 758	2 644 758	0	2 879 034	2 878 319	715	3 354 100	3 354 100	-
პროცენტი	418 776	418 776	0	418 132	418 132	0	371 830	371 830	-
სუბსიდიები	5 599 666	5 599 666	0	6 326 092	6 326 092	0	334 800	334 800	-
გრანტები	37 640	37 640	0	587 050	587 050	0	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	3 296 353	3 296 353	0	638 856	638 856	0	1697983	1697983	-
სხვა ხარჯები	1 303 119	1 303 119	0	861 686	437 352	424 334	215 350	215 350	-
<b>საოპერაციო საღდო</b>	<b>15 446 359</b>	<b>14 076 389</b>	<b>1 369 970</b>	<b>13 908 741</b>	<b>12 509 526</b>	<b>1 399 215</b>	<b>18486254</b>	<b>18486254</b>	-
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>12 798 098</b>	<b>11 428 128</b>	<b>1 369 970</b>	<b>21 765 722</b>	<b>20 366 507</b>	<b>1 399 215</b>	<b>18 245 434</b>	<b>18 245 434</b>	-
ზრდა	12 833 566	11 463 596	1 369 970	21 867 122	20 467 907	1 399 215	18245434	18245434	-
კლება	35 468	35 468		101 400	101 400		-		
<b>მთლიანი საღდო</b>	<b>2 648 260</b>	<b>2 648 260</b>	<b>0</b>	<b>-7 856 981</b>	<b>-7 856 981</b>	<b>0</b>	<b>240 820</b>	<b>240 820</b>	-
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>2 272 433</b>	<b>2 272 433</b>	<b>0</b>	<b>-8 488 929</b>	<b>-8 488 929</b>	<b>0</b>	<b>-497 350</b>	<b>-497 350</b>	-
ზრდა	2 272 433	2 272 433	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა, დეპოზიტები	2 272 433	2 272 433		-			-		
კლება	-	0	-	8 488 929	8 488 929	-	497 350	497 350	-
ვალუტა, დეპოზიტები	-			8 488 929	8 488 929		497 350	497 350	
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-375 826</b>	<b>-375 826</b>	<b>0</b>	<b>-631 948</b>	<b>-631 948</b>	<b>0</b>	<b>-738 170</b>	<b>-738 170</b>	-
ზრდა	-			-			-		
კლება	375 826	375 826	0	631 948	631 948	0	738 170	738 170	-
	-	-	-	-	-	-	-	-	-

**მუხლი 2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება:**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.



დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
<b>შემოსულობები</b>	<b>31370673</b>	<b>30000703</b>	<b>1369970</b>	<b>27831371</b>	<b>26007107</b>	<b>1824264</b>	<b>30161847</b>	<b>30161847</b>	<b>-</b>
შემოსავლები	31 335 205	29 965 235	1 369 970	27 729 971	25 905 707	1 824 264	30161847	30161847	-
არაფინანსური აქტივების კლება	35 468	35 468	-	101 400	101 400	-	-	-	-
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
<b>გადასახდელები</b>	<b>29098240</b>	<b>27 728 270</b>	<b>1369970</b>	<b>36320300</b>	<b>34 496 036</b>	<b>1 824 264</b>	<b>30659197</b>	<b>30659197</b>	<b>-</b>
ხარჯები	15 888 847	15 888 847	-	13 821 230	13 396 181	425 049	11675593	11675593	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	12 833 566	11 463 596	1 369 970	21 867 122	20 467 907	1 399 215	18245434	18245434	-
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	375 826	375 826	-	631 948	631 948	-	738 170	738 170	-
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>2272433</b>	<b>2272433</b>	<b>-</b>	<b>-8488929</b>	<b>-8488929</b>	<b>-</b>	<b>-497350</b>	<b>-497350</b>	<b>-</b>

### მუხლი 3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 30161847 ლარის ოდენობით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
<b>შემოსავლები</b>	<b>31335205</b>	<b>29965235</b>	<b>1 369 970</b>	<b>27729971</b>	<b>25905707</b>	<b>1 824 264</b>	<b>30161847</b>	<b>30161847</b>	
გადასახადები	1 354 750	1 354 750	-	1 653 400	1 653 400	-	2 900 000	2 900 000	
გრანტები	27 455 694	26 085 724	1 369 970	24 022 964	22 198 700	1 824 264	25178947	25178947	
სხვა შემოსავლები	2 524 760	2 524 760	-	2 053 607	2 053 607	-	2082900	2082900	

### ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2900000 ლარის ოდენობით.



დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
<b>გადასახადები</b>	<b>1 354 750</b>	<b>1 653 400</b>	<b>2 900 000</b>
სამემოსავლო გადასახადი			1 500 000
ქონების გადასახადი	1 354 750	1 653 400	1 400 000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	627 324	845 500	1 045 500
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)		453 400	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	63 822	30 500	30 500
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	48 718	40 000	40 000
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	614 886	284 000	284 000

**ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

**განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 25178947 ლარის ოდენობით.**

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
<b>გრანტები</b>	<b>27455694</b>	<b>26085724</b>	<b>1369970</b>	<b>24 022 964</b>	<b>22198700</b>	<b>1824264</b>	<b>25178947</b>	<b>25178947</b>	<b>-</b>
<b>სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები</b>	<b>27455694</b>	<b>26085724</b>	<b>1 369 970</b>	<b>24 022 964</b>	<b>22 198 700</b>	<b>1 824 264</b>	<b>25178947</b>	<b>25178947</b>	<b>-</b>
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი	7 184 600	7184600		7 198 700	7 198 700		5 868 400	5 868 400	



სპეციალური ტრანსფერი	20271094	18901124	1369970	1 824 264	-	1 824 264	1137933	1137933	-
მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	1 369 970		1 369 970	1 824 264		1 824 264	-	-	
მ.შ. სხვა სპეციალური ტრანსფერი	-			-			-	-	
მ.შ. აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	18 901 124	18 901 124		-			1137933	1137933	
კაპიტალური ტრანსფერი	-			15 000 000	15 000 000		18 172 614	18 172 614	
აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	-			15 000 000	15 000 000		18 172 614	18 172 614	

### გ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2082900 ლარის ოდენობით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	2 524 760	2 053 607	2 082 900
შემოსავლები საკუთრებიდან	1 035 661	824 007	750 900
პროცენტები	783 693	624 007	550 000
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	783 693	624 007	550 000
რენტა	251 968	200 000	200 900
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	87 711	50 000	50 000
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, კირავნობა და სხვა) გადაცემიდან	164 257	150 000	150 900



საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	384 280		347 300	320 000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	352 578		317 300	320000
სანებართვო მოსაკრებელი	46 984		35 000	40 000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	46 984		35 000	40 000
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	25		-	-
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	211			
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	66 402		32 300	
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	238 956		250 000	280 000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	31 702		30 000	30 000
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	31 702		30 000	30 000
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	985 807		750 300	850 000
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	119 012		132 000	132 000
მ/შორის შემოსულობა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემიდან	119 012		132 000	132 000

#### მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 11675593 ლარის ოდენობით თანადართული რედაქციით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები



ბარჯები	15 888 848	15 888 848	0	13 821 230	13 396 181	425 049	11 675 593	11 675 593	-
შრომის ანაზღაურება	2 588 536	2 588 536	-	2 110 380	2 110 380	-	5 701 530	5 701 530	-
საქონელი და მომსახურება	2 644 758	2 644 758	-	2 879 034	2 878 319	715	3 354 100	3 354 100	-
პროცენტი	418 776	418 776	-	418 132	418 132	-	371 830	371 830	-
სუბსიდიები	5 599 666	5 599 666	-	6 326 092	6 326 092	-	334 800	334 800	-
გრანტები	37 640	37 640	-	587 050	587 050	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	3 296 353	3 296 353	-	638 856	638 856	-	1 697 983	1 697 983	-
სხვა ხარჯი	1 303 119	1 303 119	-	861 686,00	437 352	424 334	215 350	215 350	-

**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 18 245 434 ლარის ოდენობით მათ შორის.

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 18 245 434 ლარის

ოდენობით,თანადაართული რედაქციით;

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	16 305	16 305	-	20 229	20 229	-	4 100,00	4 100	-
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	199 950	199 950	-	1 353	1 353	-	-	-	-
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	9 300 244	7 930 274	1 369 970	17 248 255	15 849 040	1 399 215	15 846 112,41	15 846 112	-
განათლება	1 114 947	1 114 947	-	3 248 467	3 248 467	-	1 769 069,59	1 769 070	-
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	2 197 247	2 197 247	-	1 345 318	1 345 318	-	626 152,00	626 152	-



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4 873,00	4 873,00	-	3 500,00	3 500,00	-	-	-	-
ჯამი	12 833 566	11 463 596	1 369 970	21 867 122	20 467 907	1 399 215	18 245 434	18 245 434	-

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების კლება	35 468	35 468	-	101 400	101 400	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	35 468	35 468	-	101 400	101 400	-	-	-	-

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 29 921 027 ფუნქციონალურ ჭრილში, თანადაართული რედაქციით.

(ლარი)

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
701	საერთო დანიშნულების სსახელმწიფო მომსახურება	2 681 808	2 681 808	0	2 643 604	2 643 604	0	2 225 830	2 225 830	0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 212 946	2 212 946	0	2 209 552	2 209 552	0	1 854 000	1 854 000	0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 076 841	2 076 841	0	1 934 673	1 934 673	0	1 629 740	1 629 740	0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	136 105	136 105	0	274 879	274 879	0	224 260	224 260	0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	418 776	418 776	0	434 052	434 052	0	371 830	371 830	0
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა	37 640	37 640	0	0	0	0	0	0	0





	დონეცს შორის									
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	12 446	12 446	0	0	0	0	0	0	0
702	თავდაცვა	123 572	123 572	0	122 107	122 107	0	103 940	103 940	0
7021	შეიარაღებული ძალები	123 572	123 572	0	122 107	122 107	0	103 940	103 940	0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	775 009	775 009	0	651 545	651 545	0	0	0	0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	775 009	775 009	0	651 545	651 545	0	0	0	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	6 087 430	6 087 430	0	6 665 072	6 665 072	0	3 516 170	3 516 170	0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	2 533 356	2 533 356	0	8 406	8 406	0	9 800	9 800	0
70421	სოფლის მეურნეობა	2 533 356	2 533 356	0	8 406	8 406	0	9 800	9 800	0
7045	ტრანსპორტი	3 399 405	3 399 405	0	6 448 861	6 448 861	0	3 338 490	3 338 490	0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3 399 405	3 399 405	0	6 448 861	6 448 861	0	3 338 490	3 338 490	0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	154 669	154 669	0	207 805	207 805	0	167 880	167 880	0
705	გარემოს დაცვა	2 832 769	2 832 769	0	5 843 114	5 843 114	0	3 724 813	3 724 813	0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1 344 677	1 344 677	0	1 439 167	1 439 167	0	1 387 690	1 387 690	0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	1 488 092	1 488 092	0	4 403 947	4 403 947	0	2 337 123	2 337 123	0
706	საბინაო_კომუნალური მეურნეობა	7 351 799	5 981 829	1 369 970	8 365 772	6 965 842	1 399 930	11 872 819	11 872 819	0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	930 536	930 536	0	1 284 294	1 284 294	0	2 166 047	2 166 047	0
7063	წყალმომარაგება	3 815 647	3 815 647	0	4 149 888	4 149 888	0	8 599 132	8 599 132	0
7064	გარე განათება	625 730	625 730	0	756 670	756 670	0	740 900	740 900	0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 979 886	609 916	1 369 970	2 174 920	774 990	1 399 930	366 740	366 740	0
707	ჯანმრთელობის დაცვა	157 686	157 686	0	279 274	279 274	0	148 460	148 460	0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	157 686	157 686	0	279 274	279 274	0	148 460	148 460	0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	4 679 386	4 679 386	0	4 293 657	4 293 657	0	1 818 372	1 818 372	0



7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 996 046	1 996 046	0	2 937 961	2 937 961	0	995 952	995 952	0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2 575 033	2 575 033	0	1 230 595	1 230 595	0	721 820	721 820	0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	14 374	14 374	0	0	0	0	0	0	0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	93 933	93 933	0	125 101	125 101	0	100 600	100 600	0
709	განათლება	3 347 627	3 347 627	0	5 912 876	5 912 876	0	4 849 590	4 849 590	0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 570 368	1 570 368	0	1 995 249	1 995 249	0	2 422 660	2 422 660	0
7092	ზოგადი განათლება	4 039	4 039	0	4 200	4 200	0	0	0	0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	4 039	4 039	0	4 200	4 200	0	0	0	0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1 773 220	1 773 220	0	3 913 427	3 913 427	0	2 426 930	2 426 930	0
710	სოციალური დაცვა	685 328	416 641	0	911 331	486 997	424 334	1 661 033	1 661 033	0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	170 543	170 543	0	183 053	183 053	0	195 000	195 000	0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	514 785	246 098	0	728 278	303 944	424 334	1 466 033	1 466 033	0
	მთლიანი ხარჯები	28 722 414	27 083 757	1 369 970	35 688 352	33 864 088	1 824 264	29 921 027	29 921 027	0

**მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო.**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 240820 ლარის ოდენობით;

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 497350 ლარის ოდენობით.

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 738170 ლარის ოდენობით.

**მუხლი 10. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100000 ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 11. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.



## **მუხლი 12. სპორტული, კულტურული ღონისძიებები**

სპორტულ, კულტურულ, პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **თავი II**

#### **ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

## **მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

### **1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)**

#### **1.1 . სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური (პროგრამული კოდი 02 01)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირებისა და გაწვევებთან დაკავშირებული ხარჯების უზრუნველყოფა.

### **2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქის ქუჩების მოწყობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

#### **2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებულ რეაბილიტირებულ ქუჩებში გადაადგილების უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირება, მგზავრთა მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილების უზრუნველყოფა, გზებზე უსაფრთხო გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ჩამოსული ტურისტებისათვის მიმზიდველი და კომფორტული გარემოს შექმნას და ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას.

##### **2.1.1. ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქობულეთში შიდა საქალაქო ქუჩებისა და ტროტუარების რეაბილიტაციას იმ უბნებში სადაც ძირითადად მოწესრიგებული იქნება მიწისქვეშა კომინიკაციები, კერძოდ დაგეგმილია ქალაქ ქობულეთში ბაგრატიონის ქუჩის კეთილმოწყობა სადაც მოეწყობა მიწისქვეშა სანიაღვრე ქსელი, დაიგება ასფალტობეტონის საფარი და მოეწყობა ტროტუარები და ბორდიურები . ქალაქ ქობულეთში აბაშიძის ქუჩის (მდ კინტირიშიდან კარიერის დასახლებამდე ) არსებულ ტროტუარებზე მოეწყობა დეკორატიული ფილები და მოეწყობა ბორდიურები. ქალაქ ქობულეთში რუსთაველის ქუჩა ე.წ. ცენტრალურ სასაფლაოებთან მისასვლელი გზის მონაკვეთზე დაგეგმილია მისასვლელი გზის (საგზაო ინფრასტრუქტურა)კეთილმოწყობის სამუშაოები, კერძოდ მოეწყობა სავალი გზის ნაწილი და მიწისქვეშა კომუნიკაცია, აგრეთვე მოეწყობა ტროტუარები დეკორატიული ფილებით და მოეწყობა ბორდიურები.

##### **2.1.2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01 07)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (თემებში, სოფლებსა და ქალაქის ტერიტორიაზე) და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მგზავრთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად მუნიციპალური ტრანსპორტით, კერძოდ ავტობუსებით მომსახურების ხარჯების თანადაფინანსებას. აღნიშნული ქვეპროგრამა განხორციელდება შპს “ქობულეთის ტრანსრეგულირების“ მიერ.

### **2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების მოწყობა, მუნიციპალიტეტის გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიების დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა. წყალმომარაგების უზრუნველყოფისა და



მოსახლეობაზე სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება წყალსადენის სათავე ნაგებობების მშენებლობა და რეაბილიტაცია, წყლის გაუსნებელყოფა, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები.

### **2.2.1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ქალაქ ქობულეთში რუსთაველის ქუჩა №137, №162ე, №162 დ, №162ზ, №162ჟ, №164, №164-ა, №166, №166-ა, №215-ა, ვერულიძის №5 და №9, კომახიძის №100 და 9 აპრილის №24-ში ასევე ქალაქ ქობულეთში აღმაშენებლის ქუჩა №2 -ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა. მოეწყობა სანიაღვრე საკანალიზაციო ჭების სისტემები და ეზოებში დაიგება დეკორატიული ფილები, მოწესრიგდება გაზონები.

### **2.2.2. გარე განათება (პროგრამული კოდი 03 02 02)**

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, გარე განათების ქსელის განვითარებისა და არსებულის სრულყოფისათვის, ენერჯის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დაწესება და განათების თანამედროვე წყაროების, ეფექტური ოპტიკური სისტემების, კონსტრუქციებისა და მასალების გამოყენების დაწესება. წლის განმავლობაში ღამით ქალაქში უსაფრთხოებისთვის ხელისშეწყობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის 4800-ზე მეტი წერტილის ექსპლოატაცია, მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურება. რაც ხელს შეუწყობს რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ქალაქის იერსახის შენარჩუნებას.

### **2.2.3. მუნიციპალიტეტის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები**

(პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, სისუფთავის და წესრიგის დაცვა, რასაც განხორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება.

### **2.2.4. გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში 2016 წელს გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის და მათ შორის მარადმწვანე დეკორატიული მცენარეების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, რასაც ახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანება, პროგრამა დააფინანსებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს.

### **2.2.5. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)**

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მოსახლეობისათვის და არსებული ორგანიზაციებისათვის ეკოლოგიურად სუფთა, სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა. შპს „ქობულეთის წყალი“ უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის სასმელი წყლის დროულ და ხარისხიანად მიწოდებას, დაფინანსება ხდება სასმელი წყლის მიწოდებაზე დახარჯული ელექტრო ენერჯის ანაზღაურების მიზნით, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს სასმელ-სამეურნეო წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია (გამრიცხველიანება), გარდა ამისა სოფლებში კერძოდ: სოფელ ზედა სამების წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სოფელ ხუცუბნის წყალსადენის სისტემის მოწყობა, სოფ. ჩაისუბნში წყალსადენის სისტემის პირველი ეტაპის ანუ სათავე ნაგებობისა და რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები, სოფ. ლელვაში წყალსადენის სისტემის სათავე ნაგებობისა და რეზერვუარის მოწყობა, საჩინოს თემში პირველ ეტაპზე (სოფლებში საჩინოში და ქვედა აჭყვაში წყლის სათავეს და ქსელის მოწყობა) წყლის სათავე ნაგებობის, რეზერვუარისა და ცენტრალური მაგისტრალის მოწყობა. დაგეგმილია სოფელი ჭახათის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია სოფლებში: აჭყვისთავის, ზენითის, ალამბრის, მუხაესტატეს და წყავროკას წყლის სისტემების რეაბილიტაცია. ქვეპროგრამით გრძელდება ა(ა)იპ ქობულეთის სოფლის წყალის სუბსიდირება, რომელიც მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს სოფლების წყლის სათავე ნაგებობებისა და შიდა გაყვანილობის მიმდინარე რემონტის სამუშაოების განხორციელებას, ამორტიზირებული წყლის მილების პერიოდულ შეცვლას, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია სოფლების ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასთან და მოსახლეობის ცხოვრების კრიტერიუმების ცვლილებასთან.



## **2.2.6. სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა- რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ქობულეთში „მტს“ და კარიერის უბნის საკანალიზაციო სისტემის და მისი ელემენტების სამშენებლო სამუშაოების II ეტაპი, განხორციელდება ქალაქ ქობულეთში ჩოლოქის დასახლებაში წყალსადენისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები (სეპტიკის მშენებლობა და კანალიზაციის სისტემა-ელემენტების მოწყობა).

## **2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები.

### **2.3.1. სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ქობულეთში მემედ აბაშიძის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის წინ არსებული სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები, კერძოდ დაიგება ფილები, მწვანე საფარის დაზიანებული ადგილები შეიცვლება ახლით, ცენტრალურ გზასა და სკვერს შორის მოეწყობა ახალი დეკორატიული მოაჯირები. პროგრამით გათვალისწინებულია ქალაქ ქობულეთში ცენტრალური ბიბლიოთეკის მიმდებარე სკვერში საფეხმავლო და სამანქანო სავალი ნაწილების მოწესრიგება, ბეტონის დეკორატიული საგზაო ფილების, ბეტონის ბორდიურების მოწყობა, საპარკე საკამების, ქუჩის გარე განათების მოწყობა და სხვ.

## **2.4. საცხოვრებელი ბინების სადუზინფექციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 06)**

მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფექციური დაავადებების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით აუცილებელია ისეთი პრევენციული ღონისძიების გატარება როგორცაა სადერატიზაციო და სადუზინფექციო სამუშაოების ჩატარება.

## **2.5. აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი (პროგრამული კოდი 03 07)**

მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, ხაზობრივ ნაგებობების აზომვითი ნახაზების მომზადება და მისი შემდგომი მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირება ხელს შეუწყობს არსებული ქონების მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განკარგვას.

## **2.6. "მცირე კავკასიის ალიანსების აჭარის პროგრამის "ქობულეთის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა (პროგრამული კოდი 03 12)**

მუნიციპალიტეტში პირუტყვის დაავადების მონიტორინგისა და კატასტროფების, დავაადებების რისკის შემცირებისა და გენდერული თანასწორობის დანერგვის მიმართულებით მუნიციპალიტეტი ვალდებულია იღებს უზრუნველყოფის ერთობლივი პროექტის თანადაფინანსება და ამ მიზნით გაიღებს სამუშაო ჯგუფის მუშაობის ხელშეწყობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებს. პროგრამა დაიწყო 2015 წელს და დასრულდება 2017 წლის მარტის თვეში.

## **3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00).**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების ფუნქციონირება.

### **3.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს სკოლამდელი განათლება წარმოადგენს რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.

#### **3.1.1. ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)**



მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს საბავშვო ბაღები, სადაც სკოლამდელ აღზრდა-განათლებას მიიღებს 2300 ზე მეტი ბავშვი. მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ქვეპროგრამა მოიცავს ბაღების სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურების და კვებითი მომსახურების ხარჯების სრულ დაფინანსებას და ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა დანარჩენ ხარჯს.

### **3.1.2. საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა**

**(პროგრამული კოდი 04 01 02)**

ხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია და ბაღების განტვირთვის მიზნით ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა. პროგრამით გათვალისწინებულია ქალაქ ქობულეთში ფიჭვნარში საბავშვო ბაღის მოწყობის, სოფელ ზენითში საბავშვო ბაღის მოწყობისა და დაბა ჩაქვში აღმაშენებლის ქუჩა №28-ში საბავშვო ბაღის მშენებლობის დასრულება.

### **4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შესძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

#### **4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2016 წლის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- სარაგბო საკლუბო გუნდი „პონტო“ მატერიალური მხარდაჭერის მიზნით.
- სპორტთამაშების კლუბი „ქობულეთი“ მატერიალური მხარდაჭერის მიზნით.
- ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა.

#### **4.1.1. ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)**

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ძალოსნობა, ველოსპორტი, რაგბი, ჭადრაკი, ფეხბურთი (გოგონათა და ჭაბუკთა). წრეებში დაკავებულია 300-ზე მეტი ბავშვი, ტარდება შიდა სასკოლო და ამხანაგური შეხვედრები. წლის განმავლობაში სკოლის ჯგუფებში მოსწავლეთა მომზადების ღონის შემოწმების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებში წარმატებული სპორტსმენების გამოვლენის მიზნით სასპორტო სკოლა მონაწილეობას ღებულობს საოლქო და რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებებში.

#### **4.1.2. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია და ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ უზრუნველყონ სპორტსმენების განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერ სპორტსმენთა წახალისება. გაგრძელდება სხვადასხვა სპორტული პროექტების მხარდაჭერაც.

#### **4.1.3. სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03)**

პროგრამა ითვალისწინებს მხარდაჭერის ფარგლებში სარაგბო კლუბის დაფინანსებას. კერძოდ სარაგბო კლუბი „პონტოს“ და სპორტთამაშების კლუბი „ქობულეთის“ მხარდაჭერის პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების დაფინანსებას, სპორტულ თამაშებებში მონაწილეობის ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებებით, აგრეთვე გუნდების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს.



#### 4.1.4. სპორტული მოედნების მოწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04)

პროგრამა ითვალისწინებს სოფელ დაგვაში საჯარო სკოლის ეზოში ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონის მოწყობას.

#### 4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

##### 4.2.1. ა(ა)იპ ქობულეთის სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტი კვლავ განაგრძობს 2016 წლის პროგრამის ფარგლებში სახელოვნებო სკოლის თანადაფინანსებას სადაც გაერთიანებულია სოფლების ხუცუბნისა და ბობოყვათის, დაბა ჩაქვისა და ქ. ქობულეთის სკოლები. ს მ

##### 4.2.2. ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის ცენტრი რომელიც შეშდგება საბიბლიოთეკო და მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება, მასში გაერთიანებულია სასოფლო კულტურული დაწესებულებები, შესაბამისად განყოფილებებში ფუნქციონირებს ეკოტურიზმის, კულტურული მემკვიდრეობის, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზების, ხალხური რეწვის, ლიტერატურულ-თეატრალური, რიტმული ცეკვების „ახალი რიტმები“ ჯგუფები და ქორეოგრაფიული ანსამბლი „საუნჯე“. ახალგაზრდული ანსამბლი ახალი ხმები და სასოფლო კლუბებთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, სადაც სულ გაერთიანებულია ორასამდე ახალგაზრდა. პროგრამა აფინანსებს კულტურის ცენტრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

##### 4.2.3. ა(ა)იპ ქობულეთის პარკი (პროგრამული კოდი 05 02 03)

მუნიციპალიტეტი საკუთრებაში არსებული პარკების მიმდინარე მოვლა-შენახვისა და საკურორტო ქალაქის იერსახის შენარჩუნების მიზნით დააფინანსებს ა(ა)იპ ქობულეთის პარკის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს.

##### 4.2.4. ა(ა)იპ ქობულეთის გურამ თამაზაშვილის სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "მხედრული" (პროგრამული კოდი 05 02 04)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი სადაც ახალგაზრდა თაობებში კულტურული აღზრდისა და ეროვნული ცეკვების შენარჩუნების მიზნით მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ანსამბლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ ხარჯს.

##### 4.2.5. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 05)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის, მხარის ღირსეულად წარმოჩენის მიზნით ადგილობრივი და მუნიციპალიტეტის სტუმრების დაინტერესების, სანახაობებისა და წარმოდგენების მიზნით გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები როგორცაა საახალწლო და სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი კულტურული ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღეების აღნიშვნა, სახალხო დღესასწაულები და სხვა. პროგრამით განხორციელდება ტურიზმის კვირეულისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებები, მოხდება ტურისტული სარეკლამო მასალების მომზადება, პროგრამით შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ფესტივალებში, კონკურსებსა და პროექტებში შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობის ხელშეწყობა, ხელი შეეწყობა ცნობილი და შემოქმედი ადამიანების პოპულარიზაციას, შესაძლებელი გახდება გენდერული თანასწორობის დღის, შ.შ.მ. პირების უფლებათა დაცვის დღის და სხვადასხვა პროექტების მხარდაჭერა.

##### 4.2.6. ა(ა)იპ ქობულეთის მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 08)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუზეუმი, რაც ემსახურება ქობულეთის როგორც საკურორტო და ისტორიული მნიშვნელობის ქალაქის განვითარებასა და პოპულარიზებას. მუზეუმში დაცულია იშვიათი





ექსპონანტები რომლებიც ადგილობრივი ოსტატობის ნიმუშს წარმოადგენს, საგამოფენო დარბაზი წლის განმავლობაში მასპინძლობას უწევს არამარტო ადგილობრივ არამედ უცხოელ დამთვალიერებლებსაც, ყოველივე აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი აფინანსებს მუზეუმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

## **5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

